ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5412970

ნომერი: AR1824736

თარიღი : 04.05.2021

გაცემის თარიღი : 20.05.2021

გაცნობის თარიღი : 21.05.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 116;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:
- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები გადაღების თარიღის ფიქსაციით.
წარმოადგინეთ დღევანდელი არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

წარმოდგენილ იქნეს იჯარის ხელშეკრულებაში მითითებული დანართი და სქემა, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ საშუალება მისცა მოიჯარეს განათავსოს ანძები და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის სათანადო წესით დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა შენობის სახურავზე საპროექტო ანძის მოწყობის თაობაზე. გაითვალისწინეთ თქვენ მიერ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ სახურავი რომელზეც გსურთ განათავსოთ საპროექტო ანძები რეგისტრირებულია დიდუბე პლაზას საკუთრებაში(საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაცია). ასევე განგიმარტავთ, რომ თუ საპროექტო სამუშაოები დაგეგმილია საერთო სარგებლობაში არსებულ ფართზე (სახურავზე) წარმოსადგენი იქნება მიწის ნაკვეთის ყველა თანამესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.

შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.